სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №55

ქ.ქუთაისი 04 თებერვალი 2013 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად.

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი") ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის ამირან ძოწენიძის სახით, (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი–ქ.ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის წერილი– 31.01.2013 წ. №01-584 მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, მ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24-64-48).

მეორეს მხრივ, ი.მ ნათია ოშვერიძის (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით, (მისამართი: ქ. ქუთაისი, წერეთლის ჭიშკა №12)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. 2013 წლის შესყიდვების გეგმით დამტკიცებული „სოციალური ღონისძიებების პროგრამის" ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებებისათვის თაიგულებისა და გვირგვინების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2. კლასიფიკატორის კოდი – 03100000;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარი.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ საქონლის სტანდარტებთან შესაბამისობაში.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი წუნდებული საქონლის შეცვლა;

3.3 ამ მუხლის არცერთი პუნქტი, არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან;

3.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი სამსახური.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად ხარისხიანი საქონელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით ან შესაბამისი დოკუმენტით, რომლის დამტკიცებას ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია.

6. ანგარიშწორება და ვალუტა

6.1 ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად საქონლის მიწოდების მოცულობა და ღირებულება.

6.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა)

6.3 ანგარიშსწორების ვადაა ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღე;

6.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამოიწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობის მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

9.2.მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

9.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

- ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის 150 (ასორმოცდაათი) ლარს;

10.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ს;

10.3 იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარის საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

10.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მისაწოდებელი საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

10.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყოვნებლივ;

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

13.2 თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ქალაქ ქუთაისის მერია

მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3

ს.ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"

ქუთაისი ფილიალი

ბ/კოდი: UGEBGE22

ა/ა № 33033303

ს.კოდი: 212721170

ქალაქ ქუთაისის მერის

მოვალეობის შემსრულებელი

ამირან მოწყობიძე

მიმწოდებელი:

ინდ. მეწარმე ნათია უშვერიძე

მის: ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. №12

ს.ს „რესპუბლიკა ბანკი"

ქუთაისი ფილიალი

ბ/კოდი:REPLGE22

ა/ა GE91BR0000010378948147

ს/კ 60001129109

ინდ. მეწარმე

ნათია უშვერიძე